<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის ზურაბ ბაკურაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. გლდანის რაიონში, მუხიანში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მომღერლის ზურაბ ბაკურაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელებ

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე


X:485794 Y:4626236
X:485799 Y:4626221
X:485777 Y:4625938
N
1:1,800

ზურაბ ბაკურაძე

(1978-2021)

მომღერალი, ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლისტი

დაიბადა 1978 წელს თბილისში. 1994 წელს დაამთავრა 184-ე საჯარო სკოლა. 2001 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტი.

1994 წელს, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლისას გახდა ანსამბლ „ერისიონის“ წევრი. სწორედ ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელის, ჯემალ ჭკუასელის დამსახურებით, კიდევ უფრო გაუღრმავდა ქართული სიმღერის მიმართ სიყვარული. მან შეისწავლა საქართველოს ყველა კუთხის სიმღერა და დაეუფლა მრავალ ხალხურ საკრავს.

ანსამბლ „ერისიონის“ შემდგომ მოღვაწეობდა ანსამბლ „ბასიანში“, რომელიც გიორგი დონაძის ინიციატივით შეიქმნა.

1999 წელს ანზორ ერქომაიშვილმა ზურაბ ბაკურაძე ანსამბლ „რუსთავში“ მიიწვია. ის ერთნაირი წარმატებით ასრულებდა როგორც გურულ „კრიმანჭულს“, ასევე კახურ „ჩაკრულოს“.

2007 წელს ზურაბ ბაკურაძე „ქართული ხმების“ წევრი გახდა, სადაც მისი ცხოვრების 14 წელი გაატარა. ის ანსამბლის პროფესიონალ შემსრულებლად იქცა.

აღსანიშნავია მისი ღვაწლი ახალი თაობის აღზრდაში. მან დააარსა ანსამბლი „უნისონი“. სხვადასხვა დროს მონაწილეობდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პროექტებში და იყო ქართული სიმღერების ტელეგაკვეთილების წამყვანი.

დაიღუპა უბედური შემთხვევის დროს 2021 წელს.

ქართული ხმები
GEORGIAN VOICES 2

#25/02/22

ქ. თბილისი 25 თებერვალი 2022 წ.

ქ. თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ გიორგი ტყემალაძეს.

შპს "ქართული ხმები 2-ის" დირექტორის, კახა გრიგალაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მოგახსენებთ, რომ 2021 წლის 23 ივნისს ტრაგიკულად გარდაიცვალა ქართული ხმების სოლისტი ზურაბ ბაკურაძე. გვაქვს სურვილი, რომ მუხიანში დუმბაძე-ნონეშვილის დამაკავშირებელ ქუჩას ეწოდოს მისი სახელი, ხოლო მიმდებარე სკვერში (სკვერის პროექტი განხილვაშია გლდანის რაიონის გამგეობის მიერ. მუხიანის მე2 მ/რ, კორპ. 13-17 შორის) დაიდგას ზურაბ ბაკურაძის მონუმენტი, რომელსაც ჩვენ, სამეგობრო ვუზრუნველვყოფთ.

განმცხადებელი - "ქართული ხმები" და ზურაბ დათიკაშვილი.

ზურაბ დათიკაშვილი

კახა გრიგალაშვილი
დავით კიკაბიძე
გიგა აბესაძე
გივი ბაკურაძე
იასონ მეუნარგია
დავით უგრელიძე

შპს "ქართული ხმები 2-ის" დირექტორი:

კახა გრიგალაშვილი

შპს "ქართული ხმები 2", სიმონ ჩიქოვანის ქ. №16, თბილისი, საქართველო. ს/კ: 405 035 260
Georgian Voices 2, LTD. №16, Simon Chikovani Str. Tbilisi, Georgia. ID: 405 035 260
geovoices@gmail.com
+995 599 589 222

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032215227**
თარიღი: **01/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი შპს "ქართული ხმები 2-ის" დირექტორის კახა გრიგალაშვილის 2022 წლის 04 მარტის საქმე #10/032205625-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს გლდანის რაიონში, მუხიანში, ქუჩისთვის ზურაბ ბაკურაძის სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01221583441**
თარიღი: **07/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ: +995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 01.06.2022 წლის #03-032215227 (01.06.2022წ. #14-01221521946-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ოთარ ჩიტიძე

სააგენტოს უფროსი (მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი